№616 2014 წლის 4 აპრილი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
შპს „სომგოს კომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით
პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. სიღნაღში, ეკა ბეჟანიშვილის ქუჩა №26-ში მდებარე 35000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: №1 - 2791 კვ.მ, №2 - 212 კვ.მ, №3 - 113 კვ.მ, №4 - 24 კვ.მ, №5 - 16 კვ.მ, №6 - 13 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №56.14.43.180) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს შპს „სომგოს კომპანიას“ (ს/კ 205219360).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 36 თვის განმავლობაში, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით, ტურისტულ-

დასასვენებელი/საწარმოო კომპლექსის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, კერძოდ:

ბ.ა) გადაცემულ უძრავ ქონებაზე ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საწარმოს მშენებლობა და ფუნქციონირების დაწყება;

ბ.ბ) არანაკლებ 1 (ერთი) ჰექტარ მიწის ნაკვეთზე სადემონსტრაციო ვენახის გაშენება;

ბ.გ) გადაცემულ უძრავ ქონებაზე არანაკლებ 50 - ნომრიანი (200 ადამიანზე გათვლილი რესტორნით) სასტუმროს მშენებლობა და ფუნქციონირება;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპლექსის ფუნქციონირების დაწყების მომენტიდან არანაკლებ 1 (ერთი) წლის ვადით არანაკლებ 30 (ოცდაათი) ადგილობრივი მაცხოვრებლის დასაქმება.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით არანაკლებ 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადაში შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის დასასრულს არანაკლებ 600 000 (ექვსასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

ბ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვის დასასრულს არანაკლებ 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება.

4. შპს „სომგოს კომპანია“ ვალდებულია ამ განკარგულების გამოცემიდან 3 (სამი) თვის ვადაში უზრუნველყოს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 12 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმის №3/3529-10) დაკისრებული პირგასამტეხლოს - 153 778.50 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

5. შპს „სომგოს კომპანია“ ვალდებულია ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს განსახორციელებელი ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 3 (სამი) თვით.

6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელწმიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**